№ 270 დეკემბერი 23, ოთხშაბათი 1887 დეკემბერი 23, ოთხშაბათი № 270

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877--1887 წელიწადი

„ივერია“
გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.
ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:
ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ზ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმ აზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)
ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.
ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.
ბათუმში: მ. ჩათაძეს.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“
გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 22 დეკემბერი

ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაო-და სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესტეტიურის გემოვნებისა და აზროვნობის გასაცნობადაო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვა გვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა,—ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამ გვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულს ცხოვრებას.

ყველას, ვისაც-კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი, საკუთარი ეკონომიური წეს-წყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთი-ურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვა-და სხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამ გვარი მოვლენა სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-ჯერობით ისე ვიწროდ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა. ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებულ ქართველისათვის იცოდეს,— რა გვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახვებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულობას სამართალზედ, ერთ-ურთს დამოკიდებულებაზედ და სხვ.

სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვა-და-სხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველ გვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველ გვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამ გვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამ ნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველ მხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ,—რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.

როგორც ზემოდ ვუჩვენეთ, ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი მოჰკიდა მარტოდ-მარტო სახალხო პოეზიის შეკრებას. ეს საკმაო არ არის. არა თუ საკმაო, იქნება ბევრჯელ მავნებელიც იყოს და ხალხის ცხოვრების შესახებ შეცდომაში შეგვიყვანოს ამ პოეზიამ. რისთვის, როგორ? გვკითხავს განცვიფრებული მკითხველი. აი რისთვის და როგორ: პოეზია და მეტადრე სახალხო პოეზია, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმა-ფრენით, დამღერის და დაჭხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუ-მორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. თუ ამ შემთხვევაში შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ყველა გვარი ნაწარმოები შესწავლილი გვექნება. ჩვენი დედა-აზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველ მხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ, იმისი ყოველი გვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ. ჩვენ ამ ჟამად დავასახელეთ ნაწარმოები ორის სფერიდგან—ეკონომიურის და იურიდიულის ცხოვრებიდგან. ეს იმიტომ, რომ ერთისა და მეორისაც შეკრება და შესწავლა ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობას და დაკვირვებას თხოულობს, ვიდრე სპეციალურს ცოდნასა და მომზადებას. ვინც ცოტაოდნად ნასწავლია და ხალხში ტრიალებს, ცხოვრობს, თვალ-ყურს ადევნებს იმის ეკონომიურს და იურიდიულს ჩვეულებებს, ის ადვილად შენიშნავს ამ ჩვეულებებს და იმათი ქაღალდზედ გადმოტანა ხომ უფრო ადვილი საქმეა.

ერთის რომელისამე საგნის ამორჩევა, იმისი «მოდად» დაწესება და სხვა საგნების დავიწყება კარგი არა დროს არა ყოფილა და არც ჩვენთვის იქნება. სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ სა-

## ფელეტონი

### სახალხო ლექსები

სოფელ კულბითში გაგონილი
ლიზა ჩ—შვილის მიერ.

—

ჩემი მარილზე წასვლაი,
არ არი დიდი ხანია,—
ცამ დაისვია ღრუბელი,
როდეს მიმქრალდა მთვარე;
გუმბრის ბოლოს რო მივედი,
ჯვად გამისდა ხარია,
ბიჭებმა აღარ იღხინეს,—
იმ ღამეს ხარა მკვდარია.
ნინიკა, შენ გეუბნები,
შენ გამიტყავო ხარია,
არ დამიკარგო ყანწები,—
თითო არშინი რქანია;
წავალ, დავწვები ხარებში,
სამძამარს ვეტყვი გნოლასა,—
კაი მეუღლე მოგიკვდა,
მარტო ნუ შეიქ ბრძოლასა;
ვედრები გამოგიტანო,
გაღმა ხარი ჰყავს მოლასა.
კამეჩმა შემამირბინა,—
რას ნატრობ ჩემსა ყოლასა,
ასსა ფუთსა შინ წავიღებ,
სტილი არ აკლდეს წონასა;
ურემსაც მარტო წავიღებ,
ზურგზე დავიკრავ ღოლასა!...

—

რას ტირი, ქალო, რას ტირი
რას დაგითხრია თვალები?!
მანდორი შენი ცრემლითა,
სავსეა საგუბარები!
ადექ და ჩემთან წამოდი,
გადმოიარე ბანები;
მკიროვასი სანახავია
შენი ყუყუნა თვალები!

—

ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა,
გავთხრი ქვასა და ქვიშასა;
ზედ მარგალიტსა დავითევ,
ფასი არა ჰქრა ქვიშასა!
ზედ აგაჩოსა დავარჭობ
გათლილსა ირმის რქისასა;
ოქროს სურას დაგიკიდებ,
სასმელად ვარდის წყლისასა;
მე შენ როგორ შეგიძულებ,
ჩემ თავს რო რჩეობ სხვისასა?...

—

ალმასის ფანჯარაში,
ქალ დაგინახე პირი მე;
დღისით მკლავს შენი სურვილი,
ღამე გზიარ და ვტირი მე;
ადექ და ჩემთან წამოდი,
შენი თვალების ჭირიმე!...

### მატყუარა

მოთხრობა ალფონს დოდესი

(ფრანგულიდამ)

მხოლოდ ერთად-ერთი ქალი მიყვარდა ჩემს სიცოცხლეშიო, გვითხრა ერთხელ მხატვარმა დ—მა; ხუთი დაუვიწყარი წელიწადი გავატარე მე იმასთან მშვიდობიანად, ტკბილად, მხიარულად. უნდა ვთქვა, რომ იმ ქალის წყალობითა ვარ მე დღეს გამოჩენილი. იმ ქალთან ახლო ყოფნა მიადვილებდა ძნელს საქმეს, იმის ახლო ვმუშაობდი დაუღალავად, ხალისით, ის იყო ჩემი სული და გული. გავიცანი თუ არა, ასე მეგონა, ჩემი დიდის ხნის ნაცნობია-მეთქი. იმისი მშვენიერება, იმისი ხასიათი აღმა-ფრენით მავსებდა, გრძნობას მიცხოველებდა. ეს ქალი სიკვდილამდე აღარ მომშორდება: სული ჩემს ხელში დალია, ჩემს სიყვარულში ამოუვიდა, ჩემს მკლავებზედ განუტევა საუკუნოდ...

ეხლა-კი არ შემიძლიან ზიზღით არ მოვიგონო ის ქალი. თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე, რა იყო ხუთის წლის განმავლობაში ის ადამიანი, ის მშვენიერი და ნარნარი არსება, ლერწამივით წვრილი, ფერ-მკრთალი კლოტილდა; მომაგონდება ხოლმე იმისი წყნარი საუბარი, იმისი ჭიკჭიკი, თავ-მოწონებით მეტყველი, მშვენიერი სახე და ვიტყვი ხოლმე ჩემ თავად: თუ გიგონებ, გიგონებ მხოლოდ იმისთვის, რომ ვთქვა, მე შენ მძაგხარ, მეზიზღები!

იმ ოჯახში, სადაც ჩვენ გავიცანით ერთმანერთი, კლოტილდას m-me დელოშს ეძახდნენ. ამბობდნენ, ეგ ქალი ქვრივიაო. მაგისი ქმარი კაპიტანი იყოვო. კაპიტანი ბევრს დადიოდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში და ცოლიც თან დაჰყავდაო. მართლადაც, ეტყობოდა კიდეც, რომ კლოტილდას ბევრი ქვეყნები დაევლო. ლაპარაკში ხშირად იტყოდა ხოლმე: „როდესაც მე ვიყავ ტომპიკტუშიო“... ანუ: „ერთხელ ვალპარიზოში შემემთხვაო“... ამ ლაპარაკის გარდა არაფერი არ ამჟღავნებდა, რომ კლოტილდას წანწალი ჰყვარებოდა. ვერც მიხვრა-მოხვრაში, ვერც ლაპარაკში ცუდს ხასიათს ვერ შევამჩნევდით. კლოტილდა იყო ნამდვილი პარიჟელი ქალი, დიდის მოხდენით და სიკეკლუცით ირთობოდა ხოლმე და ცუდს ყოფაქცევას ვერაფერში ვერ შევატყობდით. როდესაც დავრწმუნდი, რომ ეს ქალი გაგიჟებით მიყვარს-მეთქი, გადავწყვიტე ცოლად შემერთო. ვიღაც ჩემმა ნაცნობმა ჩემს მაგიერ გადასცა ჩემი აზრი, მაგრამ ქალს ეთქვა: გადაწყვეტილი მაქვს, მეორეჯელ არ გავთხოვდეო. რა-კი ასეთი პასუხი მივიღე, ვცდილობდი აღარსად არ შემხვედროდა, მაგრამ რადგანაც მეტის-მეტად ვიყავი გადარეული იმის სიყვარულით, მუშაობა ვერ შევიძელ და დარდის გასაქარვებლად გადავწყვიტე, წავალ ქვეყნებს მოვივლი, იქნება გავერთო-მეთქი.

ერთს მშვენიერს დილას, როდესაც ჩემი ბარგი დავიმზადე, გაიღო უცბად ოთახის კარი და შემოვარდა m-me დელოში; ჩემს განცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— რისთვის მიემგზავრებით? მკითხა წყნარის ხმით.—ნუ თუ იმისთვის, რომ გიყვარვართ? მეც მიყვარხართ... ქალს ხმა აუკანკალდა და ხმის კანკალით განაგრძო:

— მეც მიყვარხართ, მხოლოდ ქმრიანი-კი ვარ, და ქალმა მიამბო მთელი თავისი თავ-გადასავალი. იმისი თავგადასავალი მთელი რომანი იყო, სავსე სიყვარულითა და თავ-განწირულებითა. ჩემი ქმარი ლოთი იყო და

ჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ.

საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენ თვის-კი დრო არ არის!?

## ახალი ამბავი

*** 20 დეკემბერს სასიკვდილოდ დასჭრა მუცელში დანით კათოლიკეთა ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებმა ჯანიევმა ახალციხის მცხოვრებელი ხითაროვი. მიზეზი, როგორც უთქვამს გამომძიებლისათვის ჯანიევს, ისა ყოფილა, რომ ხითაროვმა ამ სამის წლის წინად ჩემი და გააუპატიურა ძალადობითაო. ჩემი და სულ ცამეტის წლისა იყო, როცა ეს ამბავი მოხდა, მე-კი მხოლოდ მაშინ გადამიკრა ამაზე სიტყვა დედაჩემმა, როცა ჩემი და უკვე გარდაიცვალაო. მე ძრიელ მიყვარდა ჩემი და და ამიტომ მოვკალი იმისი შეურაცხმყოფელიო.

*** ორშაბათს, 21 დეკემბერს, რუსული წარმოდგენა იყო ტფილისის ქართულს თეატრში. ითამაშეს ხუთმოქმედებიანი კომედია ოსტროვსკისა „Бѣшеныя деньги“ და ვოდევილი „Жена на прокатъ“. საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნმა პავლოვსკისამ და ბ-ნმა ფურკატიმ. მხიარულად გაატარა თავისი როლი ბ-ნმა ზავადსკიმ და სხვებიც საზოგადოდ გეარიანად თამაშობდნენ... მაგრამ ვისთვის?—ორმოცი მაყურებელი ძლივს იქნებოდა თეატრში.

*** თუმცა ეხლა ქერს კაი ფასი აქვს ტფილისში, მაგრამ მაინც ხარბი ვაჭრები ძრიელ აფუჭებენ ქერსა, რომ უფრო მომეტებული მოგება ნახონ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ (საშუალო ტომარა ქერი იწონს 17 ფუთამდე, მაშინ როდესაც იგივე ტომარა თუ აავსეთ მარტო ქერით, 7—8 ფუთზე მეტს ვერ აიწონს) გუშინაც იარმუკის მოედანში ამ გვარი ამბავი მოხდა: მუშტარმა იყიდა ერთი ტომარა ქერი, ააწონინა და 17 ფუთზე მეტი მოვიდა. მყიდველს ძრიელ გაუკვირდა ასეთი სიმძიმე. მოხსნა ტომარას თავი, გადურიე-გადმოურია და შიგ თითქმის ცარიელი ქვიშა და მტვერი იყო. ბევრი იჩხუბა, ბევრი იხვეწა, პოლიციასაც მიჰმართა, ბაზრის ზედამხედველსაც, მაგრამ ფული ველარ დაიბრუნა უკანა.

*** ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი წიგნი, სახელად „სამი მსხვერპლი“, მოთხრობა დაწერილი დ. კარიჭაშვილის-მიერ. წიგნი კარგა მოზრდილია, სულ 84 გვერდი იქნება. ფასი დიდი არ აძევს, სახელდობრ ექვსი შაური ღირს.

*** კვირას, 20 დეკემბერს მეორე კლასიკურს გიმნაზიაში სალიტერატურო და სამუსიკო დილა იყო გამართული. სხვათა შორის დირექტორმა ლილოვმა წაიკითხა ერთი ადგილი თავის თხზულებისა, რომელსაც სახელად ეწოდება: ბედის-წერა ჰომიროსის თხზულებისამებრ და მნიშვნელობა „ოდისეიასი“.

*** მირზოევისეულ ფაბრიკის წინ არხი კიდევ ჩაიქცა რამდენსამე ალაგას და ეს ორი კვირა მეტია, ხარიხები გააწყრიეს ჩაქცეულ ადგილებზე. ერთს ალაგას დახურული ფიცრები კიდეც ახადეს ამ ერთის კვირის წინად, მაგრამ აქამდის ჯერ არ აკეთებენ. ხარიხები ავიწროებს ქუჩას და მეტად უშლის მიმოსვლას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცხენ-მავალა დადის.

*** ანჩხატის უბანი საზოგადოდ ჭუჭყიანი და ნაგვიანია. განსაკუთრებით ეკკლესიის წინ მოედანი საშინელის სიბინძურით არის სავსე და ყურადღებას-კი არავინ აქცევს.

*** ჩვენს ქვეყანაში რომ უხვად მოდიოდა და მოეა შემდეგისათვისაც ყოველ გვარი სასარგებლო მცენარე, ეს მტკიცდება სხვათა შორის იმითაც, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში ეხლაც მოიპოვება ამ გვარი სახელები ადგილებისა: ბრინჯიანი, ბამბიანი და სხ. ამ გვარ ადგილებში ეხლა არც ბრინჯი მოჰყავთ, არც ბამბა... მაგრამ იმავე ადგილებში ეხლაც რომ გაისარჯოს კაცი და დასთესოს ზემოხსენებული მცენარენი, უხვად მოუვა მრავალი. მაგ., წლეულს ერთმა მემამულემ საცდელად საგურამოს ხეობაში დასთესა ცოტაოდენი ბამბა და მშვენიერი მოსავალი მოუვიდა. ბამბა მშვენივრად დამწიფდა და ლვინობის თვეში საამურად გადაიპენტა.

*** სასიამოვნოა აგრეთვე ის ამბავიცა, რომ ზოგიერთ მემამულეებს კახეთისას განუზრახავთ გონივრულად აწარმოვონ აბრეშუმის მოყვანა ამ დალოცვილ ქვეყანაში. ეხლა კახეთში აბრეშუმი მოჰყავთ ძველებურად და თესლიც ძველებური აქვთ. იქაური კიი თუმცა დიდრონ პარკებს აკეთებს, მაგრამ ეს პარკი იაფად იყიდება, რადგან იმისი აბრეშუმი კარგი არ გამოდის.

*** ამ თვის დამდეგს მცხეთაში შემდეგი უბედურება დატრიალებულა: ერთი გლეხ-კაცი წასულიყო მცხეთას ურმით და რაღაც ქირა წაეღო ტფილისიდამ. თან თავისი შვილიცა ჰყოლოდა. იმ აზრით, რომ იქნება ბაჟის გადახდას ავცდეო, საბურთალოსკენ-კი არა წასულიყო გლეხი, ავჭალისკენ გამგზავრებულიყო. როცა შესულიყო არაგვში, ამ გიჟს წყალს გადაებრუნებინა ურემი და მამაცა და შვილიც დაერჩო.

*** სურამში, როგორც „Новое Обозрѣніе“-ს სწერენ, მომხდარა შემდეგი ამბავი: პოლიტკოვსკის კანტორიდან მისულა რკინის გზის ერთი მოსამსახურე, რომელსაც თან ჰქონია ექვსი ათასი მანეთი სურამის ულელტეხილის მუშებისათვის მისაცემად. ეს ფული მიმტანს ტომრით დაუდვია კუთხეში. ამ დროს იქვე მისულა ერთი ვინმე ს. ო., რომელიც იქაურს სასამართლოში მსახურებს თარჯიმანად. ამ კაცმა შენიშნა თურმე ტომარა, სტაცა ხელი და კიდევაც გაიქცა. ფულების მომტანმა უკან მისდია, რამდენჯერმე დამბაჩა ესროლა და კიდევაც დასჭრა. ფულის მომტაცი დაიჭირეს ჟანდარმის შემწეობით და ფულიც იქვე იპოვეს. დაჭრილი სატუსაღოს საავადმყოფოში იმყოფება.

### ორიოდე გაკვრითი სიტყვა მდ. მტკვარზე და იმის მნიშვნელობაზე მდ. ალაზნის ჩასართავიდგან კასპის ზღვამდე.

მდ. მტკვარი, როგორც მოეხსენება მკითხველს, ერთვის კასპის ზღვას დაბა სალიანის მახლობლად, სადაც ამ ზღვიდგან შემოდის სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა გვარი აუარებელი თევზი: თართი, ტარაღანა, ორაგული, შამაია, ლოქო, კუტუმი, ხაშამი, საზანი, ლეჩი, ტარაშკა და სხვა; ამასთანავე მტკვარი დიდის ხნიდგან ცნობილია ვითარცა თევზის ბუდე და „ბოჟე-პრომისლის“ თევზის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ზღვიდგან 25 ვერსტზე, ყოვლად შესანიშნავი ქარხანაა თევზისა. წინად, სულ ადრე, ხანობის დროს, ხანები სარგებლობდნენ მტკვრით და შემდეგ, რაც რუსების ხელში გადავიდა, სარგებლობენ ესენი. პირველად მტკვარი თვით მართებლობის მზრუნველობის ქვეშ იყო და ბოლოს-კი მართებლობამ გასცა იჯარით, ასე რომ მთელი მდ. მტკვარი ალაზნის ჩასართავიდგან ზღვამდის ერთის კაცის ხელში იყო და ერთიად-ერთი კაცი სარგებლობდა. ამ წესით იჯარით ისარგებლეს დიდი ხანს ტფილისის სხვა-და-სხვა მოქალაქეთა: არშაკუნმა, მირზოევმა, თამამშოვმა, ყორღანოვმა, ალიხანოვმა და სხვათა, რომლებიც კარგად დასუქდნენ ფულით და შეიქმნენ მილიონერები. ბოლოს ხანში, ისევ მთავარ-მართებლობის დროს, იჯარით გაცემა მტკვრისა მართებლობამ დაინახა რა საზარალოდ როგორც ხაზინისათვის, რადგან ცოტა იჯარა შემოდიოდა, ისე საზარალოდ საზოგადოებისათვისაც იმით, რომ ერთად-ერთი კაცი სარგებლობდა მთელ მდინარით, მიანდო სტატსკი სოვეტნიკს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს სოკოლოვს, როგორც ამ საგნის სპეციალისტს, შედგენა თევზის ჭერის წესდებისა. ბ-ნ სოკოლოვმა მართლაც შეადგინა ახალი დროებითი წესდება, რომელიც იქმნა დამტკიცებული უმაღლესის მთავრობის მიერ 18 მარტს 1880 წელსა.

ამ ახალის დროებით კანონის ძალით მართებლობამ პირველის ივნისიდგან 1880 წ. გასცა იჯარით ხუთი წლით როგორც მდ. მტკვარი, ისე იმისი ტოტი აკუშა, რომელიც იღებს სათავეს იქვე სალიანის მიდგმაში და ერთვის ყიზილ-აღაჩის ყურეში; აგრეთვე მდ. არაქსი, რომელიც მოდის სპარსეთის მთებიდგან და ერთვის მტკვარს ქ. ჯავათთან, ბაქოს გუბერნიაში და სხვა პატარა წყლები, რომლებიც ჩადიან კასპის ზღვაში ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის მხრიდგან. გასცა მთავრობამ მდ. მტკვარი ხუთის წლით იმ აზრით, რომ დაენახა რამდენად პრაქტიკულად სასარგებლოდ აღმოჩნდებოდა ამ ხუთის წლის განმავლობაში ახალი წესდებულება და შემდეგისათვის ასეთი თუ ისეთი ცვლილება მოეხდინა.

ახალის კანონის ძალით დაწესდა ქ. ბაქოში სასამართლო (управленіе рыбными промыслами). მოშალეს „ბოჟე-პრომისლასთან“ გამართული მართულის ბადე (забойка), რომელიც იყო ერთის ნაპირიდგან მეორე ნაპირამდის ჩაშვებული წყალში ძირამდინ, რომ თევზი ზევით არ წასულიყო. დააწესეს ახალი იარაღი თევზის ჭერისა. გაიყო მთელი მტკვარი ალაზნიდგან ზღვამდე ნაწილ-ნაწილად, სულ 19 ნაწილად აკუშით და არაქსით. დაადგინეს წესი თევზის ჭერის აკრძალვისა (აკრძალვა იწყება ზღვიდგან სალიანამდის 1 მაისიდგან 1 ივლისამდე, სალიანიდგან ჯავათამდე 15 მაისიდგან 15 ივლისამდე და

---

უწყალოდ მკემდაო; სამის წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ გავშორდით ერთმანერთსაო. თავის წინანდელს ოჯახს ქალი თავ-მოწონებით იხსენიებდა ხოლმე; საპატიო ადგილიცა სჭეროდა ამ ოჯახს პარიჟში. მაგრამ ქალს მაინც მოუმდურებინა ყველა თავისი ნათესავები და ყოველივე კავშირი გაეწყვიტა მათთან. კლოტილდა იყო ქის-წული დიდის რაბინისა. ამ ქალის და იყო ქვრივი დამსახურებულ ჯარის-კაცისა და მეორედ ცოლად გაჰყოლოდა უფროს ზედამხედველს სენ-ჟერმენის ტყეებისას. კლოტილდა განშორებოდა ქმარსა და არავითარი სახსარი არა ჰქონოდა ცხოვრებისა; ამ ყოფაში ჩავარდნილს მუსიკის მასწავლებლობისათვის მიემართნა. სიყმაწვილეში კარგად შეესწავლა მუსიკა, ისე რომ სხვისათვისაც ადვილად შეეძლო ესწავლებინა. მუსიკას ასწავლიდა კლოტილდა შეძლებულს ოჯახებში შოსსე, ანტენისა და სენტონორეს ქუჩებზედ; მუსიკის მასწავლებლობით კარგა ბლომადაც შეეგროვებინა ფული. აი ყოველივე, რაც გადახედოდა თავს კლოტილდას.

მე დავიქირავე ჩვენთვის პატარა სახლი დედოფლის უბანში, პარიჟის ერთს წყნარსა და ფრიად მშვიდობიანს კუთხეში. მე მზად ვიყავი გამეტარებინა ჩემს კლოტილდასთან უსაქმოდ მთელი წელიწადი, ოღონდ-კი იმას ესაუბრნა ჩემთან, ოღონდ-კი იმისთვის მეცქირნა მუდამ. თვითონ კლოტილდა გამგზავნიდა ხოლმე სამუშაო ოთახში. მე არ შემეძლო ხელი შემეშალა იმისთვის და მუსიკის სწავლება აღმეკრძალნა. იმის მედიდურს, დიდ-კაცურს თავ-მოწონებას აღტაცებაში მოვყავდი, იმისი დიდ-სულოვნება და კეთილი გული მაგიჟებდა. ვგრძნობდი, რომ იმასთან ახლო ყოფნა მუდამ არ შეიძლებოდა და ამიტომ მთელ დღეს ჩვენ ვატარებდით ცალკ-ცალკე, მხოლოდ საღამოზე დავბრუნდებოდით ხოლმე ჩვენს პატარა სახლში და მაშინ ჩვენს სიამოვნებას და სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ღმერთო, რა სიხარულით მივეჩქარებოდი საღამოს შინისკენ და რა გაუსაზღვრელის მოუთმენელობით და ცახცახით ველოდი ჩემს კლოტილდას, როცა მე დავასწრებდი ხოლმე შინ მისვლას. თუ კლოტილდა შინ დამხვდებოდა, მაშინ ხომ ერთი-ორად მეტად ვხარობდი და ვმხიარულობდი. კლოტილდას ხანდისხან ძვირფასი თაიგულები მოჰქონდა შინა. ხშირად ვეხვეწებოდი, მიიღე ჩემგანაც რაიმე საჩუქარი-მეთქი, მაგრამ ის სიცილით მეტყოდა ხოლმე, მე შენზედ მდიდარი ვარო. და მართლადაც, კლოტილდას დიდი შემოსავალი უნდა ჰქონოდა, რადგანაც მუდამ მშვენივრად იყო ჩაცმული. ის მშვენიერი შავი ტანისამოსი, რომელიც ისე ჰხატავდა ჩემს კლოტილდას, სულ ხავერდისა და ატლასისა იყო, აბრეშუმის მოსავლებით მორთული და მოკაზმული. მუშაობა სრულებით არა მღალავსო, ამბობდა ხშირად ჩემი ანგელოზი. ყველა იმისი შეგირდები იყვნენ მდიდარის ხალხის ქალიშვილები, რომელნიც ძალიან პატივსა სცემდნენ და ძრიელაც უყვარდათ. ხშირად მაჩვენებდა ხოლმე სამაჯეს ან ბეჭედს და მეტყოდა: აი რა მაჩუქეს ჩემის გულ-მოდგინე შრომისათვის ჩემმა შეგირდებმაო. იმ დროს გარდა, როცა ჩვენ სახლში არ ვიყავით, ერთს წამსაც არა ვშორდებოდით ერთმანერთს და არც არსად დავდიოდით. მხოლოდ კვირაობით მიდიოდა კლოტილდა სენ-ჟერმენში დის სანახავად. ამ დასაც მხოლოდ უკანასკნელს დროს შეურიგდა. მე გავაცილებდი რკინის გზის სადგურამდე და მერე იმ საღამოსვე დაბრუნდებოდა ხოლმე. უფრო ხშირად სიტყვას ვაძლევდით ერთმანერთს, აქა და იქ ვიპოვნოთ ერთმანერთიო და შინ ერთად წავიდეთო; უფრო-კი ან წყლის პირად, ან და სადმე ტყეში დავნიშნავდით ხოლმე ალაგს შესახვედრად. ვნახავდით თუ არა ერთმანერთს, მომიყვებოდა თავის დის ამბავს; ჩემს დას შვილები მხიარული ჰყავსო, იმისი ოჯახი სრული ბედნიერიაო. მეც ვეფერებოდი, ველოლიავებოდი და ვატარებდით ასე დროს ტკბილად და მშვიდობიანად. ვიშ, რა ნეტარი დრო იყო ის დრო!!

მხოლოდ ერთს ნაკლულევანებას ვამჩნევდი ჩემს კლოტილდას. ხანდისხან მუსაიფის დროს მიამბობდა, ვთქვათ, იმ სახლების ამბავს, სადაც დაიარებოდა და მასწავლებლობდა და ერთიც ვნახოთ უცბად მოჰყვებოდა უცნაურს ლაპარაკს ამ მთაზე, იმ მთაზე, დაიწყებდა ოცნებას, სიყვარულის ამბავს და სხვანი, თავის თავი თითქო რომანის გმირი ჰგონიაო. ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, მაწუხებდა და მაშფოთებდა. მე მინდოდა, მოვშორებოდი ხალხს, საზოგადოებასა, მხოლოდ იმასთან ერთად ვყოფილიყავ, მარტოდ-მარტო, მაგრამ ვხედავდი, რომ იმას მეტის-მეტად ეხალისებოდა ხალხში ყოფნა, საზოგადოებაში ტრიალი და სხვა-და-სხვა ამბების გაგება. მე, რასაკვირველია, სულითა და გულით შევუნდე ასეთი ნაკლულევანება. რა ჰქმნას-მეთქი, ვამბობდი ჩემს გულში, ახალგაზდა ქალია, ქმრით უბედური-მეთქი; იმის ცხოვრებაც აქამდე მხოლოდ ერთი მოსაწყენი რომანი ყოფილა მეთქი და ეხლა მაინც ისიამოვნოს, გაერთოს-მეთქი. მხოლოდ ერთხელ ავიღე ეჭვი, ანუ უკეთ რომ ვთქვა, მხოლოდ ერთხელ იგრძნო ჩემმა არსებამ, რომ აქ უთუოდ რაღაც ამბავია-მეთქი.

ერთ კვირა დღეს საღამოზედ ჩვეულებრივ არ მობრუნდა სახლში და არც გაუტარებია ღამე ჩემთან. მე შევწუხდი. რა ვქნა, რა წყალში გადავარდე? ვფიქრობდი ჩემთვის. წავიდე სენ-ჟერმენში, ვაითუ უფრო შეწუხდეს; არ წავიდე და რა ვქნა? ბოლოს დროს გადავწყვიტე, წავალ და რაც იყოს—იყოს-მეთქი; უცბად კარები გაიღო და ჩემს თვალ-წინ იდგა ფერ-მიხდილი კლოტილდა: იმისი და ძალიან ავად გამხდარიყო და მეტი ღონე არ იყო, უნდა კლოტილდას მოევლნა. ასე მითხრა კლოტილდამ და მეცა მჯეროდა, რასაც ის მეუბნებოდა, მაგრამ ის-კი მაკვირვებდა, რომ რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავათიდგან ალაზნამდის 1 ივლისიდგან 1 აგვისტომდე, რადგან ამ თთვეებში თევზი ბარტყობს). ერთის სიტყვით, დედა-აზრი ამ კანონისა ის იყო, რომ მოისპოს მონოპოლია, რომ ერთს კაცს არ მიეცეს არა უმეტეს სამის ნაწილისა, რომ არ შეეძლოს ამ კაცს თავის სურვილისამებრ დაადგინოს ფასი თევზზე, რადგან კონკურენტი-მოწინაამდეგე ვაჭრობაში ეყოლება; მიეცეს ნება ყველა მსურველს თითო სხვა-და-სხვა ფასიანის ნაწილის აღებისა; საზოგადოებას შეეძლოს შოვნა ადვილად და იაფ ფასად კარგის თევზისა და ადგილობრივ მცხოვრებთ — სამუშაოსი.

კარგი და პატიოსანი, მშვენიერი აზრია, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც საზოგადოდ ბევრი კარგი კანონი სხვა-და-სხვა გარემოების გამო ჩვენ დროში არ ვარგისობს, ამ თევზის კანონსაც ესევე დაემართა. ამ კანონმა მისცა ფართო უფლება მოიჯარადრეთ, რადგან იარაღი თევზის ჭერისა გამოდგა პრაქტიკულად საშინელი მკაცრი და შეუბრალებელი. ამით, რასაკვირველია, მოიჯარადრეებმა ისარგებლეს, ასე რომ ფითოევმა, მანთაშოვმა და კომპ., რომელთაც 1880 წლიდგან ჩაიგდეს ხელში ბურთი და მოედანი, ჩაჰკიდეს ხელი მტკვარს და არიან მოიჯარადრეთ ბანკის, ხილდიის, „ბოჟე-პრომისლის“ და აკუშის ნაწილებისა, მარტოდ-მარტო დაიწყეს სარგებლობა თითქმის მთელის თევზითა, რაც გამოდის მტკვარში. „ბელიაკის“ დროს („ბელიაკი“ იწყება გაზაფხულზე თეთრის თევზისა და შემოდგომიდგან ორაგულისა და სხვა-და-სხვა წვრილის თევზისა), როდესაც აუარებელი თევზი გამალებული და დაორებული ქარავან-ქარავანი მოისწრაფის ზღვიდგან მტკვრისკენ და აკუშისაკენ, ამ ზემოხსენებულ ნაწილებში იჭერენ დღე და ღამე არა ნაკლებ ათი ათასის თევზისა; ზევით, იქვე გვერდით, ნიკოლოზის ნაწილში, იჭერენ 60—100 თევზს. ვინ ამბობს, „დიდს გემს დიდი ცურაობა უნდა“, ფითოევი, მანთაშოვი და კომპ. ბევრს რომ იჭერენ, დიდ ფასსაც აძლევენ ხაზინას, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თვითონვე ერთი ათად სარგებლობენ.

გარდა ზემოხსენებულ ნაწილებისა ფითოევმა, მანთაშოვმა და კომ. ჩაიგდეს ხელში ერთი კარგი ნაწილიც — გენჯალისა, რომელიც იწყება სალიანიდგან, აკუშის მდგმიდგან, ზემოდ, სოფ. ჩაფარხანამდის. ეს ნაწილი იმითია შესანიშნავი, რომ, როდესაც სალიანამდის თევზის ჭერა იკვრის აქედგან, სალიანიდგან იწყება ჭერა; ამის გამო მთელი თევზი როგორც მტკვრისა, ისე აკუშისა აქ, ამ ნაწილში იჭერება. ასე რომ გენჯალის ნაწილი 15-ს დღეში, 1 მაისიდგან 15 მაისამდე, იძლევა ტარალანას და თართს არა ნაკლებ ასი ათასისა. თითო თევზი ზედი-ზედ ღირს ორ მანათიდგან ოთხ მანათამდინ, რადგან გაზაფხულზე მომეტებული თევზი ხიზილალიანია. ეს საუკეთესო გენჯალის ნაწილი შეისყიდეს ფითოევმა, მანთაშოვმა და კომ. შარშან-წინ გიორგი ქართველიშვილისაგან. გასაკვირველია, რად ინება ბ-ნმა ქართველიშვილმა ამისთანა შემოსავლიანის ადგილის დაკარგვა?

ამ გენჯალის **ნაწილს** ერთი ხუთად დაჰკრამს მდ. აკუშა, რომელიც ფითოევის, მანთაშოვის და კომ. ხელშია. შესანიშნავია აკუშა იმითი, რომ ვიწროდ და ღრმად მიდის რუში; ამის გამო აუარებელ თევზს იჭერენ სულ მცირე ხარჯით. შარშან-წინ აპრილში და მაისში სათავიდგან ძლიერ ნაკლები წყალი შემოდიოდა და ამის გამო ყიზილ-აღაჩის ყურედგან ცოტა არ იყოს თევზის შემოსვლამაც იკლო, მაგრამ შარშან მთავრობის განკარგულებით ინჟინერ-გიდრავლიკმა ვ. ფსაროვმა აკუშის სათავიდგან დაწყებული თითქმის ოთხ-ხუთ ვერსტამდინ სიგრძით დაალრმავა ფარმატორი აკუშისა, რის გამოც წელს აკუშაში დიდი წყალი მოდიოდა და ამ სათავის გათხრას წელს დიდი წყლობაც დაერთო. თევზი წელს ბევრი შემოვიდა ყურედგან. ორის თვის განმავლობაში ფითოევის კომპანიამ დაიჭირა არა ნაკლებ 90,000 თევზისა, ტარალანა და თართი. თითო თევზი ჩააგდეთ ორი მანათი და დანარჩენი რვა თთვეც რომ მივიდეთ, დიდი ფული შედგება. წელს მთავრობის განკარგულებით მუშაობს აკუშაზე გზათა ინჟინერი ლაცინიკოვი, რათა ძლიერ დაალრმავოს აკუშა სათავიდგან და მთელი ფარმატორი, სადაც მაღალ დაბალია, გაადიდოს-გაასწოროს ისე, რომ სამერმისოდ მდ. აკუშა ერთ უპირველეს ნაწილად გადიქცევა. ზემოხსენებულიდგან ცხადად დაინახავს მკითხველი, რომ ყველა უფრო შესანიშნავი ნაწილები უჭირავთ ფითოევს, მანთაშოვს და კომ. მაშასადამე, საქმეს ისევ, თუ სრულებით არა, ცოტათი მაინც მონოპოლიის სუნი უდის.

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

— სანბეფსაც, ახალს პრეზიდენტს მამულის-მოყვარეთა საზოგადოებისას, უარი უთქვამს თავის თანამდებობაზედ.

— ინგლისის ჟურნალის გამომცემელთა ამხანაგობას უთხოვნია ლონდონის პოლიციის უფროსისათვის, ჩარლზ უარრენისათვის, რომ განკარგულება მოახდინეთ, პოლიციამ გვიშველოს ხოლმე და შემწეობა აღმოგვიჩინოს მაშინ, როცა რაიმე საზოგადო კრებაა. ამერიკაში წესად არის დადგენილი, რომ რეპორტიორებს ცალკე ნიშნები ურიგდებათ და ამ ნიშანს თუ რეპორტიორი პოლიციელს უჩვენებს, პოლიციის მოხელე ყოველ გზას შემწეობას აღმოუჩენს ხოლმე. ინგლისის ჟურნალის გამომცემელნიც ამისთანა ნიშნებსა თხოულობენ თურმე.

— გამოჩენილ არტისტისათვის, უფროსის კოკლენისათვის, რომელმაც ამას წინად წარმოადგინა სულთანის სასახლეში სულთანისა, პრინცებისა და ოსმალეთის წარჩინებულ კაცთა წინაშე, სულთანს ფულად საჩუქრის გარდა მიუბოძებია აგრეთვე ოსმანიე მე-3 ხარისხისა; ლაზერისათვის მიუცია ესევე ორდენი მე-4 ხარისხისა და კოკლენის შვილისათვის-კი მე-5 ხარისხისა. მეორე წარმოდგენას კოკლენისას დაესწრება თურმე დიპლომატთა კრებული.

— ინგლისის მწერალს გარრისონს ამ დღეებში საჯარო ლექციები წაუკითხავს დიდის ქალაქების მერმისზე საზოგადოდ და ლონდონისაზედ კერძოდ. ინგლისის სატახტო ქალაქს ყოველ წლივ 70 ათასი მცხოვრებელი ემატება თურმე. ლექტორის აზრით, ლონდონში მილის წყლით სარგებლობა უნდა გავაფართოვოთ, უნდა აღიკრძალოს ფაბრიკებში დიდხანს მუშაობა, ჰიგიენურად მოუწყობელი სახლები გადაშენდეს და სამიკიტნოები შემცირდეს. გარრისონს სხვათა შორის ისიც უთქვამს, რომ კარგი იქმნებოდა გარდაცვალებულთა გვამები დავწვათ ხოლმე და არა დავმარხოთო.

— „Militär Zeitung“-ა ერთს საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ცხენის ხანგრძლივ ცხოვრებაზედ. განოვერის კავალერიაში საფრანგეთის ბრძოლის დროს რამდენიმე ინგლისის მშვენიერი ცხენი იყო და ერთი ამ ცხენთაგანი გადაიყვანეს დრაგუნის რაზმში 1793 წელსა. ეს ცხენი ისპანიისა და პორტუგალიის ბრძოლებში ჰყავდათ თურმე შვიდის წლის განმავლობაში და ვატერლოოს ბრძოლის ველზედაც. 1816 წ. ცხენი გადაიყვანეს გუსართა რაზმში და ამ რაზმში ჰყავდათ 1847 წლამდე. ჯერ კიდევ ჯან-მაგრად იყო ცხენი, ხოლო მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ჰკმარა მაგდენი მუშაობა, იალაღზედ გაუშვითო. ეს ცხენი მოკვდა თურმე 1850 წელს სამოცის წლისა.

— ინგლისის ერთი ექიმი სწერს იმის თაობაზედ, თუ როგორა სინჯავს ხოლმე ავადმყოფებსა და სნეულებს ჩინეთის გამოჩენილი ექიმი, რომელსაც განტონში გასცნობია: „მეცნიერს დიდი, უშველებელი ნაწნავი ჰკიდია და თავის ავადმყოფებთან დილის ათს საათზე დადის ხოლმე საუზმის შემდეგ ტახტრევანით, რომელიც მიაქვთ ხოლმე ოთხს ზორბა და მკლავ-ღონიერს მსახურს. სადაც-კი შევა ხოლმე ექიმი, ყველგან დიდის პატივით და მოკრძალებით უხვდებიან; თუ ავადმყოფი მამაკაცია, ექიმი წინ ჩამოუჯდება ხოლმე და მაჯას უსინჯავს; ხოლო თუ ავადმყოფი დედაკაცია, ექიმსა და დედაკაცს შორის ფარდაა ჩამოფარებული და ექიმი ფარდის აქედგან უსინჯავს მაჯასა და ენას დედაკაცს და წამალს უწერავს. თუ ექიმი წამალს გამოუწერს, სასყიდელი მეტი უნდა მისცენ; ექიმს ფული მაშინვე უნდა გადასცენ, ქაღალდში გახვეული. ექიმს გასამრჯელოს 30 კაპ. 5 მანეთამდე აძლევენ; ფულის მიცემა დამოკიდებულია ავადმყოფის შეძლებასა და ქონებაზედ და აგრეთვე იმაზედ, სნეული მძიმე ავადმყოფია თუ არა.

— ბოსნიის ერთს პატარა სოფელში დგას თურმე ას-წლოვანი მუხა, რომელსაც სიდიდით პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მთელს ევროპაში. ამ მუხას ისეთი დიდი ფუღურო აქვს, რომ ავდრის დროს მწყემსები თავს შეაფარებენ ხოლმე ცხვრებითა. ამ მუხის ფუღუროში 64 კაცი ეტევა თურმე.

— ჟურნალი „la Nature“ ამბობს, რომ 1886 წლის განმავლობაში სენიდგან ამოიღეს 2.021 დამრჩვალი ძაღლი, 277 კატა, 2.257 თაგვი, 507 წიწილა და იხვი, 210 კურდღელი, 10 ცხვარი, 2 კვიცი, 60 გოჭი, 5 ღორი, 27 ბატი, 27 ინდაური, 2 ძროხა, 3 მაიმუნი, 8 ციკანი, 1 გველი, 2 თრითინა, 3.066 კილოგრამი ხორცი, 3 მაჩვ-მღარბი, 1 თუთიყუში, 609 ცალი სხვა-და-სხვა ფრინველი, 3 მელა, 130 ტრედი, 3 ჯღარბი, 2 ფარშევანგი და 1 ზღვის ღორიო.

— ვიღაცა გრაიტი გამოჩენილა, რომელიც ამტკიცებს თურმე, რომ შექსპირი გემზედ მოსამსახურე იყოვო. განთქმული და გამოჩენილი დრამების მწერალი 24 წლისა იყო, როცა ინგლისის გემზედ მსახურობდა და ისპანიელების წინააღმდეგ იბრძოდაო. გრაიტი შექსპირის პიესებში ეძებს თურმე თავის აზრის დასამტკიცებელ საბუთებს. ასე რომ ვიფიქროთ, შექსპირს შეეძლება ყველა საქმისა და ყველა ხელობის მცოდნეობა შევწამოთ.

## დეპეშა

21 დეკემბერი

პეტერბურგი. ლორდი ჩერჩილი და იმისი მეუღლე მოსკოვს წავიდნენ.

ბერლინი. ყალბის ქაღალდების

---

ვკითხავდი, არაფერზედ რიგიანს, ცხადსა და გარკვეულს პასუხს არ მაძლევდა.

ორჯელ თუ სამჯერ წავიდა იმ კვირა კლოტილდა სენ-ჟერმენში ღამის გასათევად; მერე, რაკი იმისი და კარგად შეიქმნა, ისევ ძველებურად მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო. საუბედუროდ, ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია და თვითონაც ლოგინად ჩავარდა. ერთხელ, როდესაც მუსიკის გაკვეთი გაეთავებინა და შინ წამოსულიყო, წვიმას მოესწრო და დასველებულიყო. ამაზე გაცივდა საცოდავი და ისე თრთოდა, თითქო გაციებაო, მალე ანთებად გადაექცა ციება, ასე რომ ექიმებს ძალიან შეეშინდათ. მე ვიტანჯებოდი და არ ვიცოდი, რა მექნა. როდესაც დავრწმუნდი, რომ იმედი აღარ არის მორჩენისა-მეთქი, ვიფიქრე, როგორმე უნდა დავატკბო იმისი უკანასკნელი წუთი ამ ქვეყნად დარჩენილის ცხოვრებისა-მეთქი. მინდოდა მომეყვანა მომაკვდავთან იმისი ნათესავები, რადგან ძლიერ უყვარდა კლოტილდას თავისი მახლობელნი და თავიც-კი მოსწონდა, ასეთი და ასეთი ნათესავები მყავსო. მივწერე წერილი იმის დას სენ-ჟერმენში, ასე და ასეა თქვენის დის საქმე და ჰნახეთ-მეთქი. მე თვითონ გავიქეცი იმის ბიძასთან, დიდ რაბინთან. არ მახსოვს რა დროს მივედი იმ კაცთან; მგონი-კი, რომ იმ დროს მივედი სწორედ, როცა პატივცემული რაბინი სადილის მირთმევას ემზადებოდა. რაბინი გამოვიდა გაკვირვებული და დავიწყეთ ლაპარაკი:

— მოწყალეო ხელმწიფევ, ვუთხარი მე, არის დრო, როდესაც ყოველი გრძნობა ზიზღისა და ძულებისა უნდა გაჰქრეს.

რაბინი დიდის გაკვირვებით შემომცქეროდა. მე განვაგრძე:

— თქვენი დის-წული უკანასკნელს დღეშია...

— ჩემი დის-წული? მე სრულებითაც არა მყავს დის-წული, თქვენ სცდებით!

— ოჰ, მე თქვენა გთხოვთ, დაივიწყოთ, თუ რამ უკმაყოფილება უქნიათ! მე თქვენ გელაპარაკებით m-me დელოშზედ, კაპიტანის ცოლზედ...

— მე ვერ ვიცნობ m-me დელოშს... თქვენ სცდებით, ჩემო შვილო, მერწმუნეთ.

ასე გამომისტუმრა რაბინმა სახლიდამაც. უთუოდ იფიქრა, გიჟი იყო ის კაცი სწორედაო; ცხადია, სახეც აჩირებული მექნებოდა. ეს ამბავი მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის, მეტად ზარდამცემი! მაშ კლოტილდა მატყუებდა? ვიფიქრე ჩემს გულში... მერე რისთვის? უცბად საოცარმა ფიქრმა გამიელვა თავში. მე წავედი კლოტილდას ერთ შეგირდთან, რადგან მარტო იმისი ადრესი ვიცოდი და რადგან უფრო იმას ახსენებდა ხოლმე კლოტილდა; ეს იყო ერთის მდიდარის ბანკირის ქალიშვილი. მე ვკითხე მსახურს.

— m me დელოშის...

— აქ m-me დელოში არ გახლავთ.

— ვიცი... ეს მანდილოსანი რომელიც მუსიკას ასწავლის თქვენს ქალებს.

— ჩვენ ქალები არა გვყავს, არც როიალი გვაქვს; არ მესმის, რას ამბობთ, რას გადასცემთ. სთქვა ესა, მასხარად ამიგდო და მომიკეტა კარი. სხვაგან აღარსად წავსულვარ; დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ნაირ პასუხს მივიღებდი ყველასაგან.

როდესაც დავბრუნდი ჩვენს პატარა ღარიბ სახლში, სენ-ჟერმენიდამ წერილი მოსულიყო. გავხსენი წერილი საჩქაროდ, თუმცა მივხვდი წინდა-წინვე, რა ეწერებოდა ამ წერილშიაც. აღმოჩნდა, რომ არც იმ ტყვების ზედამხედველმა იცოდა, ვინ იყო m-me დელოში. ამას ისიც დაუმატეთ, რომ იმ ზედამხედველს არც ცოლი ჰყავდა თურმე და არც შვილი. ეს იყო და ეს, მე მეგონა, მეხი დამეცა თავზედა-მეთქი. ღმერთო ჩემო, ხუთის წლის განმავლობაში ყოველი იმისი სიტყვა სიცრუე და მხოლოდ სიცრუე, მტკნარი ტყუილი იყო. ათასმა ეჭვმა შეიპყრო ჩემი გული და ისრებივით დამიარა. გიჟივით შევიქენი, არ მესმოდა, რას ჩავდიოდი. გონება-დაბნეული, არეული შევედი იმ ოთახში, სადაც კლოტილდა იწვა და ებრძოდა სიკვდილს. ყველაფერი რაც მაწუხებდა, ეხლა შეიკრიბა ერთად და სული შემიგუბა კინაღამ. ველარ მოვითმინე და დაუწყე კითხვა მომაკვდავ ქალსა: „რა აკეთებდით თქვენ კვირას სენ-ჟერმენში, ქალბატონო? ვიძახდი მე. ვისთან ატარებდით იქ დროს? რად ათევდით იქ ღამეებს, მომიგეთ პასუხი!“ მე მინდოდა გამეგო იმისი საიდუმლო, ვთრთოდი, ვკანკალებდი და გული მომდიოდა: „თქვენ არსად არ მასწავლებლობდით განა? მე ვიყავი ყველგან და ყველამ დაამტკიცა თქვენი სიცრუე. მაშ საიდამა გქონდათ ფულები, ვინ გაძლევდათ სიმდიდრეს?“

ამ სიტყვებზედ ქალმა გადმომხედა და გაშტერებით დამიწყო ცქერა. რასაკვირველია, უნდა მეპატიებინა იმისთვის ყოველივე დანაშაული და დამეცადნა, რომ სული ამოსვლოდა. მაგრამ გაგიჟებით მიყვარდა კლოტილდა, ველარ შევძელ და კვლავ დავუწყე ლაპარაკი: „მატყუებდი ხუთის წლის განმავლობაში, სტყუოდი ყოველ დღე, ყოველ წამს; იცოდი ჩემი ყოველივე და მე კი არა ვიცოდი-რა შენი; არ ვიცოდი შენი ნამდვილი სახელიც-კი! ღმერთო, ის სახელიც-კი, რომელსაც აქამდე გიძახდი, შენი სახელი არა ყოფილა! ოჰ, მატყუარა! აგერ ესალმები სამუდამოდ წუთი-სოფელს და მე მაინც არ ვიცი შენი სახელი! ვინა ხარ, საიდამა ხარ? რისთვის ჩამოერიე შენ ჩემს ცხოვრებაში? სთქვი, სთქვი რამე!“ ტყუილი კითხვა-ღა იყო: პასუხის მაგიერ ქალმა პირი მიიბრუნა კედლისაკენ, თითქო ეშინიან, ჩემმა პირი-სახემ არა გამოთქვას-რაო და ჩემი საიდუმლო არ გაამჟღავნოსო. ასე მიიცვალა საცოდავი. მატყუარა იყო და მატყუარადვე გამოესალმა წუთი-სოფელს!

არკ. ბახტაძე

დ. ხონი

დაბეჭდვის გამო თავად ბისმარკის გაზეთი „Nord deutshe Algemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ დაბეჭდვა ამ ქაღალდებისა ფრიად შესანიშნავი ამბავია და ცხადად ამტკიცებს რუსეთის იმპერატორის გულ მართლობასა.

## პეტერბურგის ბირჟა, 21 დეკემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 15 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $182^{3}/_{4}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . . | — › | — › | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | $275^{1}/_{2}$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | $248^{1}/_{2}$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**23 დღე ოთხშაბათი.** წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა: თეოდულასი და სხვათა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43. მთვარე 22 დღისაა.

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 › |
| › 2 › | $2^{1}/_{2}$ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | $3^{1}/_{2}$ › |
| › › 3 › | 3 › |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 › |
| მე-3 — . . . | › › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 › |
| › 2 › | 6 › |
| სუკი . . . . | 13 › |
| ძროხის ხორცი . . . | 7 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 › |
| › 2 › | 5 › |

## იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვაო გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლე გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმას შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; სუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლე გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი გამოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უგან ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილის გადაზე გემი.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

„წერა-კითხვის“ ბიბლიოთეკაში და ჩარკვიანის მაღაზიაში იყიდება

**სამი სხვერპლი**

მოთხრობა
დ. კარიჭაშვილისა.
ფასი 30 კაპ.

---

### ტფილისის სათავად აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ რადგან 12 დეკემბერს 1887 წელს გასასყიდად დანიშნული მამულები სულ არ გაიყიდა, ამიტომ წესდების მე-21 §-ის ძალით დანიშნულია მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 დეკემბერს 1887 წლისას, დილის 12 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულ სახლებში შემდეგის მამულებისა:

ქალაქის მამულები:

ტერ-მარუქოვისა, ეკატერინე ნიკიტას ასულისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ყველა მოწყობილობით და მიწა სიგრძით 72 არშ. სიგანით 32 არშ. რუსულის ზომისა; ქ. ერივანში, ტაბაბაშინსკის კვარტალში. თავნი ვალი 4524 მან. 15 კაპ. შეს. გარდას. 309 მან. 46 კ. სულ 4833 მ. 61 კაპ.

ანტონოვისა, მარიამ მიკირტუმას ასულისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და დუქანი სარდაფით, ზომით $170^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ერევანს. თავნი ვალი 5599 მან 85 კაპ. შემოს. 400 მან. 38 კ. სულ 6000 მ. 23 კაპ.

ერვიე, ივანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მიწის ზომა 400 ოთხ-კუთხი საჟ. 10 ნაწ. 2 განყოფ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 15891 მან. 61 კაპ. შემოს. 906 მან. 80 კაპ. სულ 16798 მან. 41 კაპ.

პაშკევიჩისა, მარიამ პეტრეს ასულისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და საჯინიბოთი; მიწის ზომა $321^{1}/_{2}$ ოთხ კუთხი საჟ. 9 ნაწ. 2 განყოფ ქ. ტფილისს, ნიკოლაევის ქუჩაზე. თავნი ვალი 27118 მ. 26 კ. შემოსატანი 1654 მ. 25 კ. სულ 28772 მან. 51 კაპ.

სოფლის მამულები:

ამილახვარი, ივანე თეიმურაზის ძე: სახნავი მიწები 146 დეს. 2140 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, ზემო და ქვემო სობისში და ლდულეთში. თავნი ვალი 5828 მან. 5 კ. შემოსატანი 348 მან. 76 კ. სულ 6176 მ. 81 კ.

გაბაშვილი, იოსებ დავითის ძე: სახნავი, სათიბარი და სამოსახლო მიწა 148 დეს. 1860 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5249 მან. 14 კაპ. შემოსატანი 354 მან. 69 კ. სულ 5603 მან. 83 კაპ.

გერბოვსკი-ზარანეკი, ვალერიან მიხეილის ძე: ხუთი ნაწილი მიწისა შენობებით, ზომით 2 დესიატ. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ახალქალაქის მაზრას, სოფ. ბავდანოვკასა, არლოვკასა და სხვათა. თავნი ვალი 1500 მ. შესავსებ. გარდ. 73 მან. 60 კაპ. სულ 1573 მან. 60 კაპ.

---

Годъ VI. Годъ VI.

Въ городѣ карсѣ,
Карсской Области
открыта подписка
на газету
**„КАРСЪ“**
на будущій 1888 годъ.

*Газета „Карсъ“ въ 1888 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.*

**Условія подписки:**
Съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „**Карсъ**“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству.

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა, ქართულ

**„მწყემსზედ“**

და რუსულ ПАСТЫРЬ-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეტყობინება სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოვიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გავრცელება ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სარწმუნოების სწავლა და ცნობა საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გავრცელება საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერობა ქრისტიანობის კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე ხირთ ზოგიერთი საჭირო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათის მოვალეობის აღსრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 მ. | 6 თვით „მწყემსი“ 3 მ. |
| — ორივე გამოც. 6 მ. | —ორივე გამოცემ 4 მ. |
| — რუსული „ 3 მ. | —რუსული „ 2 მ. |

წერილების გაგზავნა და პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში, რედაქციის სტამბის კანტორაში, ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію „**Мцкемси**“ (Пастырь). ყვირილაში „მწყემსი“-ს რედაქციაში.

საუნჯე ქართულის ენისა.

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა-რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. —კ. | 6 თვით . . . | 6 მ. —კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 › | 5 „ . . . | 5 „ 25 › |
| 10 „ . . . | 8 „ 75 › | 4 „ . . . | 4 „ 75 › |
| 9 „ . . . | 8 „ — › | 3 „ . . . | 3 „ 5 › |
| 8 „ . . . | 7 „ 25 › | 2 „ . . . | 2 „ 75 › |
| 7 „ . . . | 6 „ 50 › | 1 „ . . . | 1 „ 50 › |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი

**„მეურნე“**

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთმოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ბეითალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში-8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.

ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა —თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „**Мэурнэ**“ на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.

რედაქტორი-გამომცემელი გასილ ხულხანიშვილი.

Доз. цен. Тиф. 22 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.